



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/135

ქ. თბილისი

5 სექტემბერი 2024წ

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის პროფესორ ანზორ აბრალავას საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად წარდგენის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებისა“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 5 სექტემბრის №01-05-02/22 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. წარდგენილ იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორ ანზორ აბრალავას კანდიდატურა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მიერ 2024 წლის 4 სექტემბერს გამოქვეყნებული განცხადების შესაბამისად, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილებაში „ეკონომიკის მართვის კომპიუტერული მოდელების“ სპეციალობით.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

აკადემიური საბჭოს მდივანი

დ. გურგენიძე

ი. კუტუბიძე